სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის რატი ჩანტლაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

ლევან მურუსიძე

თარიღი: 10.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის
რატი ჩანტლაძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ რატი ჩანტლაძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u>** რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი,

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რატი ჩანტლაძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. რატი ჩანტლაძეს, შესაფასებელ პერიოდში, უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის 11 ფაქტი - დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. რატი ჩანტლაძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებაზე, პატიოსნებაზე, პიროვნულ და პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებზე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ „ძალიან კარგად". იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს (არ გააჩნია საკრედიტო ისტორია). მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. მიაჩნიათ, რომ პრინციპული, სამართლიანი და მიუკერძოებელი ადამიანია. მათივე აზრით, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით და შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და კვალიფიციურად მიღების უნარი. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, რატი ჩანტლაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. კანდიდატი მხარედ მონაწილეობს ერთ ადმინისტრაციულ დავაში - საჩივრის ავტორი: რატი ჩანტლაძე, მოპასუხე: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თბილისის საქალაქო სასამართლო, სტატუსი - მიმდინარე.

			რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის ზრდილობიანი, დინჯი და თავდაჭერილი პიროვნება. მიაჩნიათ, რომ კორექტულია და კოლეგებთან ურთიერთობისას კარგად მართავს საკუთარ ემოციებს. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. რატი ჩანტლაძე პროფესიულ წრეში მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს. რატი ჩანტლაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

		პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატს წარმოდგენილი აქვს სტატიები - 1. „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4(60) თბილისი, 2018 წელი; 2. „ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი)", Ethical Duties of an Advocate Representing a Client in Mediation (Comparative Legal Analysis of Georgian and American Models), ჟურნალი „წელიწდეული ", ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 2019 წელი; 3. „წამქეზებელი" მესამე პირი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში - პასუხისმგებლობის საფუძვლები და ფარგლები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2024 წელი. წარმოდგენილ ნაშრომებში ავტორი ცდილობს შესატყვისი სამართლებრივი საფუძველი მოუძებნოს მის მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციასა თუ მოსაზრებებს. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ წარმოდგენილი ნაშრომები გამართულია. იმის გათვალისწინებით, რომ მას სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია და ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, რატი ჩანტლაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება, გარდა გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებისა, ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას. რატი ჩანტლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 84/17 რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მე-10. სამოქალაქო სამართალი - რატი ჩანტლაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული

			გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ადმინისტრაციული სამართალი - რატი ჩანტლაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შეუძლია გასაგებად და მარტივად გადმოსცეს აზრი, ასევე აქვს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები წერილობით ზედმიწევნით და შინაარსობრივად ჩამოყალიბების უნარი. რატი ჩანტლაძე არის ორგანიზებული, გაწონასწორებული, ბეჯითი, კომუნიკაბელური, კოლეგიალური და თავაზიანი ადამიანი. გარემოებებს აფასებს კრიტიკულად და შეუძლია შეცდომების აღიარება. სისხლის სამართალი - რატი ჩანტლაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. მსმენელს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ

			უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას რატი ჩანტლაძემ გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხების უმრავლესობა განიხილა კვალიფიციურად და სწორად. საბოლოოს მიმაჩნია, რომ მას გააჩნია საკმარისი ცოდნა საიმისოდ, რომ გამარჯვულად განახორციელოს საქართველო უფლებამოსილება.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს წარმოდგენილი აქვს სტატიები. მოცემულ ნაშრომში ჩამოყალიბებული მოსაზრებები დასაბუთებულია სამართლებრივი და ენობრივი თვალსაზრისით დამაჯერებლად. ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები მის მიერ განვითარებული მსჯელობიდან, მოყვანილი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. მოცემული მახასიათებლით მისი შეფასებისას ვითვალისწინებ, ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით კანდიდატი საკმაოდ არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე. საჯარო მოსმენისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერისა და ზეპირი	17	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება

კომუნიკაციის უნარი			წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა რაციონალური და თანმიმდევრულია. აქვე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ რეკომენდებულია კანდიდატმა იმუშაოს სისხლის სამართალში წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებობის უნარი. ჩემის აზრით, კანდიდატი მეტყველებს გამართულად.
პროფესიული თვისებები	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა ორგანიზებულობით, დამაჯერებლობით და შრომისმოყვარეობით. გამოკითხულ პირთა აზრით, შეუძლია ეფექტიანად წარმართოს საქმიანობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს რეკომენდაციით მან ინდა იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე (სამოქალაქო სამართლის მიმართულებით). მიმაჩნია, რომ მას გაცნობიერებული აქვს სასამართლო სისტემაში საქმიანობის ტვირთი და მნიშვნელობა. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

			ყოველივე აღნიშნული კანდიდატის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. რატი ჩანტლაძეს მედიაციის სასერთიფიკატო ტრენინგ კურსი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატი კარგად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბოლო პერიოდში ინტენსიური სწავლების კურსს. მიმაჩნია რომ, კანდიდატი განსწავლული და მიზანდასახულია, აქვს თვითგანვითარებისაკენ მისწრაფება და ღიაა პროფესიული სიახლეებისადმი.
პროფესიული აქტივობა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. 2017 წლიდან დღემდე სწავლობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე. ამასთან, რატი ჩანტლაძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინები: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი), 2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან - დღემდე; იყო მოწვეული ლექტორი ივანე

			ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინა - ბიზნეს სამართალი), 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში. მომიეზული ინფორმაციის თანახმად, რატი ჩანტლაძე პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სათანადო ძალისხმევას ახმარს პროფესიულ განვითარებას და მზადაა მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.
ქულათა ჯამი	86	100	

ლევან მურუსიძე

თარიღი: 10.12.2024